პოლონეთი მის საზღვრებს მიღმა

პოლონეთისთვის

,,სანამ ერთი პოლონელი მაინც ცოცხალია, პოლონელების გული მძაფრად ძგერს გამარჯვების იმედით. იყავით მტკიცე და გავიმარჯვებთ“, - ვლადისლავ რაჩკევიჩი

პოლონეთის პირველი პრეზიდენტი დევნილობაში

1939 წლის 18 სექტემბერი, პოლონეთის ელჩები ლონდნოსა და პარიზში, პოლონეთის საგარეო სამეთა მინისტრის მითითებებს იღებენ: *მძიმე სამხედრო ვითარების გამო, საჭიროა რესპუბლიკის პრეზიდენტის და მთავრობის საზღვარგარეთ გადაყვანა.*

სიტუაცია რთული იყო. 1939 წელს ნაცისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირისაგან ორად გაყოფილი პოლონეთი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1935 წელს მიღებული კონსტიტუცია ქვეყნის ხელისუფლებას საშუალებას აძლევდა და ავალდებულებდა, მთავრობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეექმნა, თუ ომის გამო, სხვა შესაძლებლობა არ იყო. სწორედ ქვეყნის მთავარი კანონის, 24-ე მუხლის საფუძველზე ვლადისლავ რაჩკევიჩი, 1939 წლის 30 სექტემბერს გახდა პირველი პრეზიდენტი სამშობლოდან შორს, პარიზში, დევნილობაში.

საქართველოს ქალაქ ქუთაისში დაბადებული რაჩკევიჩი, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში პოლონეთის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში გაწევრიანდა. 1919-20 წლებში, როგორც მოხალისე, პოლონეთ-რუსეთის ომში იბრძოდა. იკავებდა

შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობას, სანამ სენატორს ქვეყნის მართვა დევნილობაში, პრეზიდენტის პოსტზე მოუწევდა.

ჯერ პარიზში, საფრანგეთის დაცემის შემდეგ კი ლონდონში ჩასული პოლონეთის დევნილი პრეზიდენტი ამბობს, - ***„ახლა დიდი ბრიტანეთი არის ერთადერთი ადგილი თავის შესაფარებლად და პოლონეთის დროშა, ახლა ბრიტანეთიდან აფრიალდება“.***

უმძიმესი მდგომარეობის და სირთულეების მიუხედავად, რაჩკევიჩის მთავრობა ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებდა. 1940 წლის 21 ივნისს პადინგტონის სადგურში ვლადისლავ რაჩკევიჩს მეფე ჯორჯ მეექვსე პირადად დახვდა. დანაწევრებული პოლონეთის სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად, დევნილი მთავრობა ამჯერად ლონდონიდან განაგრძობდა მოქმედებას.

პოლონური ჯარი, ვლადისლავ სიკორსკის ხელმძღვანელობით, ბრიტანეთის მხარდამხარ იბრძოდა. ძლიერი ლიდერი, უშრეტი ენერგიით და მტკიცე რწმენით დიდი სტიმულია ყველასათვის, - ასე მოიხსენიებდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, ცნობილ სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეს სიკორსკის. რომელიც დევნილი მთავრობის შემადგენლობაში პრემიერის პოზიციას იკავებდა. მისი სიკვდილის შემდეგ კი ბრიტანული გამოცემები წერდნენ, რომ ეს პოლონელი ხალხისთვის უმძიმესი დანაკარგი იყო.

რთული იყო ბრძოლა სამშობლოდან შორს, იატაკქვეშეთიდან, დევნილობაში, თუმცა პრეზიდენტი რაჩკევიჩი ყოველთვის პოულობდა სიტყვებს მისი ჯარისკაცების გასამხნევებლად: - ***„ომის უკვე მეექვსე ზამთარს მოგმართავთ სიყვარულით, ერთგულებით, აღფრთოვანებით და პატივისცემით. სამშობლოდან განშორების ამ მძიმე ჟამს, მე ვიზიარებ თქვენს ტკივილს, რწმენასა და იმედს. არ დავზოგოთ ენერგია და ძალისხმევა ჩვენი ქვეყნისთვის“.***

პოლონეთის პირველი მთავრობა დევნილობაში, ვლადისლავ რაჩკევიჩის პრეზიდენტობით, ვალდებულებების შესრულებას არ წყვეტდა და უფლებამოსილებას პოლონეთისთვის მის ფარგლებს გარეთ ასრულებდა. 40-იან და მომდევნო წლებში, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, დევნილობაში არა ერთი საკანონმდებლო აქტი თუ დოკუმენტი შეიქმნა, რომელიც ახლა გაციფრულებულია და პოლონეთის არქივში ინახება. 2017 წელს ამ მასალების წარდგენისას, სიტყვით გამოსვლის დროს, პოლონეთის პრემიერ-მინისტრი ბეატა მარია შიდლო ამბობს, - ***„ჩვენი წინაპრების ნაშრომები იმის უტყუარი დასტურია, რომ ჩვენი სახელმწიფო არ განადგურდა, მისი სახელწიფოებრიობა გადარჩა და დღეს პოლონეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკაში ვცხოვრობთ“.***

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების შემდეგ, პოლონეთის ლონდონური მთავრობა საერთაშორისო აღიარებას კარგავს, თუმცა ისევ დევნილობაში განაგრძობს მოქმედებას ოკუპანტის წინააღმდეგ.

1945 წლის 29 ივნისს პრეზიდენტმა რაჩკევიჩმა პოლონელებს მიმართა:***„ჩვენი ქვეყნის კანონი მავალდებულებს, მშვიდობის დადგომისთანავე, პრეზიდენტის თანამდებობა, დემოკრატიულ არჩევნებში, ხალხის მიერ არჩეულს გადავცე. და მე ამას გაავაკეთებ, რათა ხალხმა თავისი რჩეული დაასახელოს“.***

თუმცა ეს არჩევანი პოლონელ ხალხს მხოლოდ 1990 წელს მიეცა, მას შემდეგ რაც პოლონეთის დევნილმა მთავრობამ სახლში დაბრუნება შეძლო.

ვლადისლავ რაჩკევიჩი დევნილობაში 1947 წელს დიდ ბრიტანეთში გარდაიცვალა.

ავტორი: თამარ ფიროსმანიშვილი